პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 4 (11615)

ოთხშაბათი, 6 იანვარი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და რ. ჰარსტმა

წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს

ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ფერმერმა როსუელ ჰარსტმა ახალწლის წინ წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს.

რ. ჰარსტი თავის წერილში მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, წერს იგი, რომ თქვენმა მოგზაურობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ალბათ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ხმა რამემ, იმ ეჭვებისა და არასწორ წარმოდგენათა შესამცირებლად, რომლებიც ორივე ქვეყანას შორის არსებობდნენ. რ. ჰარსტი რწმენას გამოთქვამს, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს სიმპათიას, რომელიც ვითარდება ორივე ქვეყნის ურთიერთობაში. რ. ჰარსტის წერილში გამოთქმულია აგრეთვე იმედი, რომ შეიარაღების ტვირთი შეიძლება ან სავსებით ლიკვიდირებულ იქნას, ანდა მეტად და მეტად არსებითად შემცირდეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ მოსკოვში ბევრ რამეს მოელიან საბჭოთა კავშირში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მომავალი ვიზიტისგან. იგი ჩვენში იქნება სასურველი სტუმარი. წერს ნ. ს. ხრუშჩოვი.

ეხება რა განიარაღების პრობლემას, ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს: ჩვენი მხრივ ამჟამად ყოველ ღონეს ვხმარობთ და მომავალშიც ვიხმართ, რათა მივაღწიოთ თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას — დავდოთ შეთანხმება ყველა სახელმწიფოს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შესაბამისი საერთაშორისო ინსპექციის დაწესებით. განიარაღების შედეგად განთავისუფლებული სახსრების მეტი წილი, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების სარეალიზაციოდ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადუხადა რ. ჰარსტს იმისათვის, რომ მან სასიამოვნო ადგილი დაუთმო შემდგომი წარმატებული ოფლის ეიზენჰაუერის ვიზიტის პროგრამაში. ჩვენ ბევრს ვმუშაობთ ამ მიმართულებით, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი. კერძოდ, ამას წინათ ჩვენ ყოველმხრივ განვიხილეთ მოსკოვში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი და მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა რ. ჰარსტსა და მთელ მის ოჯახს უსურვა საუკეთესო წარმატებანი ცხოვრებაში, ბედნიერება და ჯანმრთელობა მომავალ 1960 წელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედებაში

ვიანგარიშეთ, შეიძლება ხორცისა და რძის წარმოების სამჯერ გადიდება

ნინა ლიფარიძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მეჩაიედ. თავისი შრომისმოყვარეობით და მაღალი მაჩვენებლებით მან დაიმსახურა ავტორიტეტი კოლმეურნეთა შორის, რის შედეგად არტელის გამგეობამ იგი დააწინაურა მეჩაიეთა № 3 ბრიგადის ხელმძღვანელად. ამჟამად ნ. ლიფარიძის ბრიგადა ეწევა საზამთრო სამუშაოებს ჩაის პლანტაციებში. სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადირი ნ. ლიფარიძე.

ფოტო ა. აბულაძისა. (საქფოტოქრონიკა).

ხორცეულის წარმოების გადიდების თვალსაჩინო რეზერვი. ამ მიზნით მოვაშენოთ 5.000 ფრთა წყალმცურავი ფრინველი. ამას გარდა, 250 ოჯახამდე გავზრდით ფუტკარს, ნაცვლად შარშანდელი 150 ოჯახისა.

აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულება საშუალებას მოგვცემს მიმდინარე წელს, შარშანდელთან შედარებით, ხორცისა და რძის წარმოება გავადიდოთ სამჯერ, ხოლო ამის შედეგად მეცხოველეობის პროდუქტები სახელმწიფოს მივყიდოთ ბევრად მეტი რაოდენობით, ვიდრე მივყიდეთ 1959 წელს. კერძოდ 1960 წელს, შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მივყიდით: ხორცს — 3-ჯერ მეტს, რძეს — 2-ჯერ მეტს. ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება მატყლის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვები რესურსების გაზრდის მიზნით 300 ჰექტარამდე გავადიდებთ სიმინდის ნათეს ფართობს, აგრეთვე ერთწლიანი ბალახების ნათესების ფართობს. ამ კულტურების სანიმუშოდ მოვლა-პატრონობით მივიღებთ მწვანე მასის ისეთ რაოდენობას, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ჩავდოთ 20 ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი. ამასთან საჭირო რაოდენობით მოვიყვანთ და დავამზადებთ საკვებ ძირხვენებს, უხეშ და კონცენტრიულ საკვებს.

რამდენადაც პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდეგ ჩვენ გეზი ავიღეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისაკენ, რომელიც უახლოეს 2-3 წელიწადში ჩვენი არტელის წამყვან დარგად გადაიქცევა, აქედანვე ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სწრაფი ტემპით ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა და ამით ჩვენი ღირსეული წვლილი შევიტანოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ ამ დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

არ მოვაკლებთ ზრუნვას მეურნეობის სხვა შემოსავლიან დარგებსაც. სანიმუშოდ მოვუვლით ხეხილის ბაღებსა და ვენახებს, შარშანდელთან შედარებით თვალსაჩინოდ გავადიდებთ მათ მოსავლიანობას, აგრეთვე გავზრდით ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობას.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით ბრიგადებს, რგოლებსა და კოლმეურნეთა შორის გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, სისტემატურად მოვახდენთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, მუშაობაში დავნერგავთ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, შევუდგებით ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას ჩვენი საარტელო მეურნეობის ყველა დარგში, წავახალისებთ მოწინავეებს.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენივე რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობას.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჭორჭიაშვილის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით:

შ. ბეჟაური — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. გულიევრდაშვილი** — პარტიული ორგანიზაციის მდივანი, **ო. დალაქიშვილი** — ტრაქტორისტი, ალკკ კომიტეტის მდივანი, **ა. ოგანოვი** — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე, **ლ. აბულაძე, ზ. ჯაშიაშვილი** — მემინდვრეობის ბრიგადების ხელმძღვანელები, **გ. პოილარაშვილი** — აგრონომი, **გ. ნარიელი** — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

ლანჩხუთი. კოლმეურნეებს ყოველდღე ჩაის პლანტაციებში ნახავთ. მათ წესრიგში მოჰყავთ სადრენაჟო არხები, მწკრივთა შორის ამუშავებენ ნიადაგს, შეაქვთ ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქი.

მარტო ერთ დღეს რაიონში სადრენაჟო არხი გაწმენდილ იქნა 3 ათასი გრძივი მეტრი, პლანტაციებში ნიადაგი გადაბარეს 40 ჰექტარი; რაიონის კოლმეურნეობებში გუშინ გაშენდა 4,2 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია. სულ რაიონში გაშენებულია 50 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რაც გეგმის 100 პროცენტს შეადგენს.

სახელოვნად დაიწყეს შვიდწლედის მეორე წელი სოფელ მამათის კოლმეურნეობაში. აქ ყველაფერს აკეთებენ ჩაის მოსავლიანობის გასაადიდებლად. კვლავ ქებით იხსენიებენ კომუნისტური შრომის იმ ბრიგადას, რომელსაც დ. ჩხაიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადაში ერთ დღეს ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგი გადაბარეს 12 ჰექტარი და ამით დღიური ნორმა 150 პროცენტით გაანაღდეს.

ახალ წლის პირველი დღიდანვე ნაყოფიერად მუშაობს სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობაში კომკავშირელი ნ. კუკულავა. იგი ჩაის პლანტაციებში ნიადაგის გადაბარვის ყოველდღიურ გეგმას 150-180 პროცენტით ასრულებს. ასევე სახელოვნად მუშაობს სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობაში ქ. გოგელია და ლესის კოლმეურნეობაში ქ. ტიღოშვილი.

წყალტუბო. შვიდწლედის მეორე წლის პირველი დღეები ახალი შრომითი აღმავლობით აღინიშნება რაიონის კოლმეურნეობებში. გეგმით გათვალისწინებული 1.745 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ნიადაგის გადაბარვის სამუშაოები უკვე შესრულეს. გუშინ ფართობებში შეაქონდათ ფოსფოროვანი სასუქი. ერთ დღეს სოფელ გვიმბრის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში ფოსფოროვანი სასუქი შეიტანეს 23 ჰექტარზე. მოწინავე მეჩაიემ კომკავშირელმა თ. გურეშიძემ მოსავლელად მიჩენილ 0,65 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში გუშინ უკვე დაამთავრა სასუქის შეტანა.

წელს რაიონში ჩაის პლანტაციებში პირველად იყენებენ სასუქად ტორფს. ამ სამუშაოს რაიონში პირველი შეუდგა სოფელ გუმბრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ გათვალისწინებული აქვთ წელს საცდელად ტორფი შეეტანონ 5 ჰექტარ პლანტაციებში. თვითეულ ჰექტარზე შეიტანენ 70-80 ტონა ტორფს. გუშინ ამ კოლმეურნეობაში აღნიშნული სამუშაო შესრულეს 2 ჰექტარზე. ჩაის პლანტაციებში ტორფის შეტანის სამუშაოს ასევე კარგად ასრულებს წყალტუბოს კიკეიძის სახელობის კოლმეურნეობა.

საქართველო - ჩინეთი

ჩემი ვალდებულება

ძვირფასო მეგობარო ჯან ცინ-ხე!

თქვენმა წერილმა ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, სანამ საქართველოში ოქტომბრის მზე შემოადწევდა, ისევე, როგორც თქვენ და თქვენს თანამოსაქმეებს ჩინეთის სოციალისტურ რევოლუციამდე, რომლის 10 წლისთავი უკვე იდღესასწაულეთ, სიღარიბე, უმეცრება, აბუჩად აგდება გვტანჯავდა.

ბედშავი ცხოვრება წარსულს ჩაბარდა. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით სიხარულისა და ბედნიერების ცხრათვალა მზე გვათბობს და გვალაღებს. აბა სად ყოფილა, გარდა ხოციალისტური წყობილებისა, რომ სოფლის უბრალო მშრომელი ადამიანისათვის ასე ეზრუნათ და მას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მიეღო მონაწილეობა?

ჩემი და ჩემი ოჯახის ბედნიერი ცხოვრება საკოლმეურნეო წყობილებამ განაპირობა. გამომუშავებულ შრომადღეებზე ყოველწლიურად 30-40 ათას მანეთ შემოსავალს ვიღებ.

1959 წელს უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად—ვმონაწილეობდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მუშაობაში. ამ ყრილობამ დაამტკიცა დიადი პროგრამა—შვიდწლიანი გეგმა. შვიდწლედში ჩვენი ქვეყნის ხალხსა მეურნეობა უაღრესად აუკავდება.

როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობიდან დავბრუნდი, გადავწყვიტე კიდევ უფრო თავდადებულად მემუშავნა. შვიდწლედის პირველ წელს 0,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციას ვუვლიდი. საგულდაგულოდ დავამუშავე იგი, რის შედეგადაც 15.081 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფე.

მაგრამ მოპოვებული წარმატება ზღვარი არ არის. მეტი მონდომებით, პლანტაციის მაღალხარისხოვნად დამუშავებით შესაძლებელია უფრო მაღალი მაჩვენებლების მოპოვება.

მინდა ცოტა რამ ჩემს მუშაობაზეც გიამბო.

მოგეხსენებათ, ჩაის კულტურა მეტად შრომატევადია. მთავარია მეჩაიემ შრომა არ დაიშუროს და ზუსტად განახორციელოს აგროტექნიკური ღონისძიებანი. სანამ მე მოწინავეთა რიგებში ჩავდგებოდი, ზუსტად შევიხწავლე ჩაის აგროტექნიკა. ბევრს ვსწავლობდი მოწინავე ადამიანებისაგან. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებამ საშუალება მომცა ხარეკორდო მოსავალი მიმეღო.

ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის ზრუნვას შემოდგომის დამლევიდან ვიწყებ. ნოემბერ-დეკემბერში პლანტაციაში შემაქვს 40 ტონამდე ორგანული სასუქი, აგრეთვე ფოსფოროვანი სასუქი და კალიუმი.

განსაკუთრებულ უურადღებას ვაქცევ ბუჩქების გასხვლას. ბუჩქს ვაძლევ ნახევრადოვალურ ფორმას, სამდროზად შემაქვს აზოტოვანი სასუქი და პლანტაციას ვთოხნი ოთხჯერ, მაგრამ მარტო მაღალი მოსავლის მიღება არ კმარა. ჩაი ისეთი კულტურაა, რომ მის წესიერ კრეფაზე დიდად არის დამოკიდებული მაღალი მოსავლის მიღების ბედი. ვაწარმოებ პლანტაციის ყოველდღიურ შემოვლას, რომ ჩაის ფოთოლი არ გაუხუშდეს. არც ნაადრევი კრეფაა სახარბიელო, ამან შეიძლება დასუსტოს ბუჩქი.

ჩაის ფოთოლს ვკრეფ ორივე ხელით, სწრაფად ვარჩევ შემოსულ და მოუხვლელ დუუებს, რის შედეგადაც ყოველდღიურად 200-250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ვკრეფ.

ძვირფასო მეგობარო! მე მტკიცედ გადავწყვიტე ჩავება თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. განზრახული მაქვს 1960 წელს მოვკრიფო სულ მცირე 15 ტონა ჩაის ფოთოლი. ვებმები რა თქვენთან შეჯიბრებაში, **გიწვევთ 1960 წლის გაზაფხულზე ჩემს მშობლიურ სოფელში—საქართველოს სსრ ცხაკაიის რაიონის სოფელ ზანაში.** თქვენი ჩამოსვლა დიდად სახიხარულო იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ჩვენი თანასოფლელისათვის, ყველა ქართველისათვის. როგორც თქვენ იცით, არსებობს ორი დიდი ქვეყანა — სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა დიადი მეგობრობა. ეს მეგობრობა სულ უფრო იზრდება და მტკიცდება. მეგობრობა ყველაზე ძვირფასია. თქვენი სტუმრობა ჩვენს მეგობრულ სიყვარულს უფრო გააღვივებს, უფრო მტკიცესა და დიადს გახდის.

მხურვალე სალამით, თქვენი ქართველი მეგობარი

ტატინა ტყეგუჩავა,
საქართველოს სსრ,
ცხაკაიის რაიონი. სოფელი ზანა.

მეჩაიე ტატიანა ტყეგუჩავას საპასუხო წერილი ჩინელ მეჩაიე ჯან ცინ-ხეს

1960 წლის ფულისა და ნივთების ლატარია

1958 და 1959 წლების ფულისა და ნივთების ლატარია საქართველოს სსრ მოსახლეობაში წარმატებით განხორციელდა. ლატარიის ბილეთები ყოველთვის მთლიანად იყიდებოდა და მათ ხალისით იძენდნენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, პენსიონერები, სტუდენტები, საჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები და სხვა მოქალაქეები.

ორ წელიწადში საქართველოს მოსახლეობამ ლატარიის ბილეთებზე მოგებათა სახით მიიღო 25 მილიონ მანეთზე მეტი. ჩვენი რესპუბლიკის 12 მშრომელმა ლატარიის მოგებული ბილეთებით მიიღო ავტომანქანა „ვოლგა“.

საქართველოს 30 მშრომელმა მოიგო ავტომანქანები „მოსკვიჩი“.

ქალაქების ბათუმისა და ტყიბულის მცხოვრებლებმა თავიანთი ლატარიის ბილეთებით მოიგეს ერთბინიანი სამოთახიანი სახლები, თვითეული 50.000 მანეთი ღირებულებისა. რესპუბლიკის 50 მშრომელმა მოიგო 8.800 და 5.500 მანეთად ღირებული მოტოციკლები, 20 კაცმა მოიგო საწოლი ოთახის გარნიტურები, 50 კაცმა მოიგო პიანინოები და სხვ.

1959 წლის ოთხივე გამოშვების ლატარიის ბილეთების მოგებათა განაღდება ყველგან გრძელდება და იწარმოებს 1960 წლის 30 ივნისამდე.

გაზეთებში და რადიოთი გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცნობა 27 მილიონი მანეთი საერთო თანხის 1960 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის მოწყობის შესახებ და ახალი ლატარიის დაწვრილებითი პირობები.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში იწყება 1960 წლის 5 იანვარს. ლატარიის ბილეთი ღირს 3 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პირობების თანახმად, ლატარიის ბილეთები დაიყოფა, ისევე — როგორც გასულ წელს, ოთხ გამოშვებად, რომელთაგან თვითეულ გამოშვებაში მოეწყობა მოგებათა დამოუკიდებელი ტირაჟი.

1960 წელს ლატარიის მოგებათა ტირაჟები მოეწყობა: პირველი გამოშვებისა — 15 მარტს ქალაქ ფოთში, მეორე გამოშვებისა — 15 იანისს ქალაქ სტალინირში, მესამე გამოშვებისა — 15 სექტემბერს ქალაქ რუსთავში და მეოთხე გამოშვებისა — 30 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

ლატარიის ბილეთები გამოშვებულ იქნება სერიებად № 24001-დან № 60000-მდე, 9000 სერია თვითეულ გამოშვებაში; თვითეულ სერიაში არის 250 ბილეთი № 001-დან № 250-მდე. ლატარიის მოგებათა საერთო თანხა შეადგენს 13.500.000 მანეთს, ე. ი. ლატარიის მთელი თანხის 50 პროცენტს.

ნივთების მოგებათა შორის 1960 წელს გათამაშდება 20 ავტომანქანა „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, 8 საწოლი ოთახის გარნიტური, 40 პიანინო, 100 მაცივარი, 80 ტელევიზორი, 100-ზე მეტი რადიოლა, მაგნეტოფონი და რადიომიმღები, 212 საკერავი მანქანა, 100 სარეცხი მანქანა და სხვა საქონელი, რომლებზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა.

1960 წელს, გასულ წელთან შედარებით, გადიდებულია ისეთ მოგებათა რაოდენობა, როგორიც არის ავტომანქანა „მოსკვიჩი“, პიანინო, საკერავი და სარეცხი მანქანები. მშრომელთა სურვილების გათვალისწინებით ახალ ლატარიაში პირველად შეტანილია ისეთი მოგებანი, როგორიც არის მაგნიტოფონები, წიგნის კარადები, სასადილო გასაშლელი მაგიდები, ელექტროიატაკსაწმენდები, სამზარეულოს ელექტროხელსაწყოები და სხვა ძვირფასი ნივთები.

ლატარიის პირობებით გათვალისწინებულია, რომ მოგებული ბილეთის მფლობელის სურვილით მას შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება მიიღოს ნაღდ ფულად. მოგებული ლატარიის ბილეთები გასანაღდებლად შეიძლება წარდგენილ იქნას 1961 წლის 30 ივნისამდე.

ფულად მოგებათა გადახდას, აგრეთვე მოგებული ნივთის ნაცვლად ფულის გადახდას მოგებული ბილეთის მფლობელის სურვილით აწარმოებენ შეძახსელი სალაროები, ხოლო მოგებული ნივთების გაცემას — საკავშირო ორგანიზაციები თავიანთი მაღაზიების მეშვეობით.

ნივთების დიდ მოგებათა ნაწილი მოგებული ბილეთების მფლობელებს გაეგზავნებათ მათი მისამართით ქალაქ თბილისიდან, ხოლო დანარჩენ, უფრო პატარა მოგებულ ნივთებს გასცემენ ადგილებზე შესაბამისი მაღაზიების მეშვეობით.

მოგების მისაღებად ლატარიის ბილეთის მფლობელმა უნდა მიმართოს შემნახველ სალაროს ან საკავშირო ორგანიზაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მშრომელებისათვის რომ უფრო მოხერხებული იყოს, შემოღებულია წესი, რომლის თანახმად რესპუბლიკის ფაბრიკებიდან წასულ მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებით მოგება მიიღონ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკურ, საოლქო და სამხრეთო ცენტრების ერთერთ ცენტრალურ შემნახველ სალაროში. სწორედ ასევე ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალარო და ქალაქების სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის ცენტრალური შემნახველი სალაროები გასცემენ ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ლატარიის ბილეთების მოგებას.

1960 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გაყიდვა იწარმოებს ნებაყოფლობის პრინციპის ზუსტი დაცვით.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა უშუალოდ კოლექტივებში, ე. ი. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ზემოაღნიშნულთა გარდა, ნებადართული არ არის.

ეჭვი არ არის, რომ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის საფუძველზე ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები წარმატებით გაიყიდება.

ბ. ჩხეიძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

დოვლათიანი „შვიდწლედის მოსავლისათვის“

საქართველოს ახალგაზრდობის შესანიშნავი თაოსნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საქართველოს სოფლის ახალგაზრდობა შემოქმედებითად იბრძვის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით განსახორციელებლად. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მოწინავე კოლკავშირელები და ახალგაზრდობა ავლენენ ახალ და ახალ რეზერვებს „შვიდწლედის მოსავლის“ მიღებისათვის. ამ მიზნით ახალგაზრდობა იჩენს ახალ თაოსნობას, რომელიც შესანიშნავ პატრიოტულ მოძრაობად იქცევა.

ჭერ იყო და, არსებულ დიდ შესაძლებლობათა თაოსნებად მოგვევლინენ ქოლეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ახალგაზრდები, რომლებმაც გადაწყვიტეს შეხვსებული ნერგების გამოყენებით უახლოეს ორ წელიწადში მოსპონ კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების სიღარიბე. ხუცუბნელთა ეს ინიციატივა ალე იიტაცეს მეჩაიეობის რაიონების კოლკავშირულმა ორგანიზაციებმა, და ამით დაიწყო დიადი ლაშქრობა ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. გამოცხადდა საქართველოს კომკავშირელთა ლაშქრობა შეხვსებული ნერგებით უახლოეს ორ წელიწადში ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის სრული ლიკვიდაციისათვის. მოლაშქრეები მწყობრში ჩაიყენებენ 3.000 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და „შვიდწლედის მოსავლის“ ანგარიშში ჩაწერენ პირველ ციფრს — 10.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ხუცუბნელთა თაოსნობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდობაში დაიწყო ფართო მასშტაბის მოძრაობა ხეხილის ბაღებსა და ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის და მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაჩაღებლად. გორის რაიონის სოფელ შინდისის ლენინის სახელობის, ქარელის რაიონის სოფელ მოხისის სტალინის სახელობის, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებისა და თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა, გაითვალისწინეს რა ის დიდი დანაკარგი, რომელსაც განიცდიან მათი კოლმეურნეობები ვენახების, ხეხილის ბაღების მეჩხერიანობისაგან და სოფლის მეურნეობის მავნებელთა და ავადმყოფობათაგან, **გადაწყვიტეს მეჩაიე ახალგაზრდობის თაოსნობის საპასუხოდ აღმოფხვრან სიმეჩხერე ხეხილის ბაღებში** 1961 წლის ბოლოსათვის და ვენახებში — 1962 წლის ბოლოსათვის, მოწინავე მეცნიერული მეთოდებით აწარმოონ ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ამ წამოწყებამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის აღნიშნული ინიციატივა და დაავალეს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჩაის პლანტაციების, ხეხილის ბაღებისა და ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის ლაშქრობის ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე ხეხილის სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაშლაში.

ახალგაზრდობის ამ შესანიშნავი თაოსნობის წამოწყებასთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მიმართვა რესპუბლიკის მეჩაიეობის, მევენახეობის, მებაღეობის დარგში მომუშავე ახალგაზრდებისადმი, სოფლის ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილისადმი მოწოდებით: **„გავაჯანსაღოთ ბაღები და ზვრები, მოვიყვანოთ დოვლათიანი „შვიდწლედის მოსავალი“.**

„შვიდწლედის პირველ წელს, — ნათქვამია მიმართვაში, — ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღებისა და ჩაბარების გეგმები. უხვი მოსავლის მიღებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდექით თქვენ, მოწინავე კომკავშირელები და ახალგაზრდობა. გასული წლის ბოლოს სწორედ თქვენი თაოსნობით გაჩაღდა შესანიშნავი ბრძოლა — „შვიდწლედის მოსავლის“ მიღებისათვის. „შვიდწლედის მოსავალი“ იქნება ზეგეგმური პროდუქცია, რომელსაც ახალგაზრდობა მოიწევს მოსავლიანობის ზრდის რეზერვების გამოყენების გზით“.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში შემდეგ აღნიშნულია, რომ „შვიდწლედის მოსავლისათვის“ ბრძოლა შორს სცილდება სიმეჩხრის ლიკვიდაციას და იჭრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ახალგაზრდები ამუშავებენ ღონისძიებებს ახლად ათვისებული მიწების, ორგანული სასუქების რეზერვების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის, მეცხოველეობაში პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის, საკვები ბაზის საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის და სხვ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მთავრდება სიტყვებით:

„საქართველოს ჭაბუკებო და ქალიშვილებო! წინ მრავალი სახახელო და თავგამოსაჩენი საქმეა. ენერგიულად ვიბრძოლოთ მშობლიური მიწის ყოველი მტკაველის რაციონალურად გამოყენებისათვის, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი მიწაწყლის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მივცეთ კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს“.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს შრომისმოყვარე ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, ჩაებმება ჩაის პლანტაციების, ხეხილის ბაღებისა და ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის დაწყებულ ლაშქრობაში და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სასახელოდ შესრულების საქმეში.

დიდი ლენინის გეგმების შუქი

ახალი ისტორიული დოკუმენტები

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ოცდაათ ათასზე მეტი დოკუმენტი და მასალები, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაამარსებლის, მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის მოღვაწეობასთან, თავმოყრილია ამჟამად სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი ყველაფერი იმ უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელიც ვ. ი. ლენინმა დატოვა. დოკუმენტების ძებნა არ წყდება და ცენტრალურ პარტიულ არქივს წლითიწლობით ემატება ახალი მასალები.

მარტო 1959 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა შეიძინა ვ. ი. ლენინის 123 დოკუმენტი. ისინი მიღებულია სხვადასხვა პარტიული და სახელმწიფო არქივიდან, სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციისაგან, სსრ კავშირის ცალკეული მოქალაქეებისა და აგრეთვე უცხოეთიდან—მომძღვარ კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან, სამეცნიერო დაწესებულებათა და კერძო პირთაგან.

ლენინგრადის „პლეხანოვის სახლის“ ფონდებში აღმოჩენილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საბჭოს 1903 წლის 1 ნოემბრის (19 ოქტომბრის) დადგენილების დედანი, რომელსაც ხელს აწერენ ვალენტინოვი (გ. ვ. პლეხანოვი), ილინი (ვ. ი. ლენინი), ვასილიევი (ფ. ვ. ლენგნიკი) და სხვები იმის შესახებ, რომ სწორად აღიარებულია ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოქმედება რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის II ყრილობაზე და რომ მას ენიჭება უფლება მოახდინოს ლიგის რეორგანიზაცია.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენენ მასალები, რომლებიც მიღებულია შვეიცარიიდან. მათ შორის არის ვლადიმერ ილიას ძის ოცი წერილი გ. ლ. შკლოვსკისა და სხვა პირებისადმი, რამდენიმე ბარათი, სტატიების ნაწყვეტები და ვ. ი. ლენინის შენიშვნები მისთვის გაგზავნილ წერილებზე.

ვ. ი. ლენინის წერილები ეკუთვნიან 1915 წლის ივლის-აგვისტოს და ეხებიან პარტიაში საქმეების მდგომარეობას ამ პერიოდში. წერილების უმეტესობა ეძღვნება ციმერვალდის კონფერენციას და გვიჩვენებს ვლადიმერ ილიას ძის უდიდეს მუშაობას კონფერენციის მომზადებისათვის. წერილებში ლაპარაკია ბოლშევიკების ტაქტიკაზე და ლენინის ბრძოლაზე საერთაშორისო სოციალშოვინიზმის წინააღმდეგ და სხვა საკითხებზე.

მთელი რიგი წერილები ეძღვნება ჟურნალ „კომუნისტის“ დაბეჭდვისათვის მზადებას, რომლის გამოცემა დაკავშირებული იყო ვ. ი ლენინის ბრძოლასთან ციმერვალდის კონფერენციის წინ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ელემენტების დარაზმვისათვის. ზოგიერთ წერილში ასახულია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობა პარტიის ცენტრალური ორგანოს—გაზეთ „სოციალ-დემოკრატისადმი“. ხელნაწერები შეიცავენ ცნობებს „კომუნისტისა“ და „სოციალ-დემოკრატისათვის“ სტატიების გაგზავნის, ნომრების მომზადების, სტატიების თემების განაწილებისა და ამ სტატიებზე მუშაობის შესახებ. წერილებში ლაპარაკია იმაზე, რომ დასაბეჭდად მომზადდეს ვ. ი. ლენინის მთელი რიგი შრომები. კერძოდ ნათქვამია, რომ სტამბაში გაიგზავნა სტატია „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“.

ამ ჯგუფის დოკუმენტთა შორის არის „ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მანიფესტი“ ლენინის შენიშვნებით, დასასრული მიმართვისა თუ წერილისა „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციის სახელით მშვიდობის ლოზუნგის არსის შესახებ და სხვა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისაგან მიღებულია ვ. ი. ლენინის წერილი გ. ლ. შკლოვსკისადმი, რომელიც დაწერილია 1914 წლის 18 და 31 ივლისს შუა. ვლადიმერ ილიას ძე ამ წერილით იტყობინება, რომ დამთავრდა ბრიუსელის თათბირის მუშაობა, ლაპარაკობს პოლონეთის დელეგაციის პოზიციისა და ლიკვიდატორების მიმართ შემდგომ ტაქტიკაზე. წერილიდან აშკარა ხდება ლიკვიდატორებთან ბოლშევიკების გადაჭრით გათიშვის ლენინური გეზი.

ვ. ი. ლენინის დოკუმენტების უმრავლესობა, რომლებიც ინსტიტუტმა მიიღო, ეკუთვნის ოქტომბრის შემდგომ პერიოდს. ისინი გვიჩვენებენ კომუნისტური პარტიის დიდი ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის უდიდეს და მრავალფეროვან პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას. დოკუმენტები ეხებიან ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენას, სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბჭოთა ჯარების საბრძოლო მოქმედებისადმი ხელმძღვანელობას, წითელი არმიისა და მოსახლეობის სურსათით მომარაგების, მუშურ-გლეხური ინსპექციის განმტკიცების საკითხებს და იმას, რომ მუშები და გლეხები ეზიარონ მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს.

ვლადიმერ ილიას ძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნისტურ შაბათობებს, როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ხალხის ეკართო მასების პრაქტიკული მონაწილეობისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს. დიდ ინტერესს წარმოადგენს ტექსტი ვ. ი. ლენინის საბოლოო სიტყვისა, რომელიც მან წარმოთქვა 1919 წლის 20 დეკემბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) მოსკოვის საერთო საქალაქო კონფერენციაზე შაბათობათა მნიშვნელობის შესახებ.

* * *

სურათზე: ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის შაბათობაზე კრემლში 1920 წლის 1 მაისს.

მხატვარ ბ. ვასილიევის ნახატის რეპროდუქცია.

კომუნისტური შრომა, კომუნიზმის ნაგებობები

ქართველო მეშახტეებო! მიიღეთ თქვენი უკანონელი. მეგობრების წრფელი საახალწლო მილოცვა და გულითადი სურვილები. ყოველი დღესასწაულის წინ ჩვენ ტრადიციულად ვაჯამებთ განვლილ მუშაობას. დარწმუნებული ვართ თქვენთვის საინტერესოა გაიგოთ ჩვენი მიღწევები, ამოცანები.

„სევერნაია“ № 2 შახტმა უკვე გადაჯარა თავის საწარმოო სიმძლავრეს. წელს მოვამზადეთ ახალი მძლავრი ჰორიზონტი. ხუთი თვეა, რაც ამ ჰორიზონტზე მომუშავე ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადას ჩავუდექი სათავეში. ახალ წელს წელგამართული ვეგებებით. ახალი ბრიგადა უკვე აღარ არის ჩამორჩენილი.

ახალი წელი ახალ ამოცანებს გვიყენებს. გაორკეცებული ენერგიით ვიშრომოთ საამბოლოს, ხალხის საკეთილდღეოდ!

ნ. მამაი,

კრასნოდონის ქვანახშირის ტრესტის „სევერნაია“ № 2 შახტის მეხუთე უბნის ბრიგადის ხელმძღვანელი. სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენ, ნიკოპოლელ მაღაროელებს, შეგვიძლია თამამად, გულგაშლილი მივუახლდეთ საახალწლო სუფრას. შვიდწლედის პირველ წელს კარგად ვიმუშავეთ. ჩვენმა კომუნისტური შრომის ცვლამ გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცა სამშობლოს.

პიათიორელ და ნიკოპოლელ მაღაროელებს განუყრელი მეგობრობა გვაკავშირებს. ეს მეგობრობა ხელს გვიწყობს მუშაობაში, ფრთებს გვასხამს შვიდწლედის ზღუდეებზე საიერიშოდ.

საქართველოს ბევრი საწარმოს კოლექტივი უანგარო მეგობრობით არის დაკავშირებული მომმე რესპუბლიკების მშრომელებთან. ეს მეგობრობა, რომელიც ყოველდღიურად მტკიცდება და ღრმავდება შვიდწლედის ზღუდეებზე საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში, ჩვენი წინსვლის, ჩვენი გამარჯვებების მძლავრი ფაქტორია.

ჩვენი გაზეთი თავის დღევანდელ ნომერში ადგილს უთმობს ქართველ მეგობართა მისამართზე მოსკოვიდან, მარგანეცი-დან, კრასნოდონიდან და სხვა ქალაქებიდან გამოგზავნილ მილოცვებს.

საახალწლოდ შრომის ალაკერდს გადმოვდივარ თქვენთან, ჩვენო ქართველო ძმებო!

ნიკოპოლ-მარგანეცის ტრესტის ოქტომბრის 40 წლისთვის სახელობის № 20 შახტის ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლის დავალებით: ო. დედელი — ცვლის უფროსი, **გ. კუმჩენკო, ა. პეტროვჩიკი, ვ. პოლიაკოვი** — **კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელები.**

ერთ წელზე მეტია ჩვენს საამქროს კომუნისტური შრომის საამქროს სატიტო წოდება მიენიჭა. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანასთან ჩვენს ბიგადრობასაც ამდენივე ხნის ისტორია აქვს. ამ მოკლე დროში ჩვენი კოლექტივის ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. წილად გვხვდა შეგვეკეთებინა ისტორიული ორთქლმავალი,, რომელსაც ამშვენებს მემორიალური დფაფა წარწერით: „ეს ორთქლმავალი შეაკეთეს მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კომუნისტებმა 1919 წლის 12 აპრილს კომუნისტურ შაბათობაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინმა დიადი თაოსნობა უწოდა“.

ახალი წლის დღესასწაულის წინ მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიც შვიდწლედის პირველ წელს მოპოვებულ წარმატებებზე მოგვითხრობდით.

გისურვებთ ახალ წარმატებებს კომუნისტურ შრომაში, ცხოვრებაში, სწავლაში.

ვ. სტანილევიჩი,

მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კომუნისტური შრომის ხაამქროს უფროსი.

ასე დაიწყო ლაშქრობა

გაგანოველის ჩანაწერები

ჩემს მეხსიერებაში დიდხანს დარჩება კარგ მოგონებად ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის 10, 13 და 16 ივლისი, 1 და 19 დეკემბერი. ბრიგადის წევრებმა შევინახეთ ამ დღეთა კალენდარის ფურცლები. ჩემთვის, ჩვენი საწარმოს მშრომელებისათვის რით იყო სანტერესო და მნიშვნელოვანი ეს დღეები? მე მაქვს ჩანაწერები, რომლებიც გვიამბობს:

10 ივლისი. შევიტყე ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირის ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული თაოსნობის ამბავი და მისი მაგალითისამებრ გამოვთქვი სურვილი სამუშაოდ გადავსულიყავი ჩვენი კომბინატის სართავი ფაბრიკის ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადაში;

13 ივლისი. ახლებურად მუშაობის პირველი დღე. ბრიგადამ გეგმა შეასრულა მხოლოდ 87,1 პროცენტით. წინ დიდი სამუშაოა. ჩამორჩენილი ბრიგადის მოწინავეთა დონემდე აყვანისათვის პირველ რიგში საჭიროა ბრიგადის წევრებს შორის დავალებათა ზუსტი განაწილება, ხელმძღვანელის მხრივ მომთხოვნელობის ამაღლება.

16 ივლისი. ბრიგადამ, რომელიც წინათ დავალებას ვერ ასრულებდა, გეგმა შეასრულა 106,3 პროცენტით გაანალდა. ამან კიდევ უფრო წაახალისა ბრიგადის წევრები. ყოველდღიურად საქმე წინ მიდის. ბრიგადაში დაინერგა თითისტრების გაუჩერებლად ნართის ჩამბის მეთოდი. მრავალჯამზე შემცირდა „მოსკირნე“ თითისტრები. ბრიგადამ საწარმოო გეგმა 111 პროცენტით შეასრულა. ბრიგადის ყველა წევრი მოწინავეა, მაგრამ განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობენ ა. ჩოჩიშვილი და გ. იაკოვინა;

1 დეკემბერი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ყველა გაიღიცავა საწარმოო გამარჯვებას — წლიური დავალების ვადაზე ერთი თვით ადრე შესრულებას, ახლა კი სამუდამოდ მოიცილა ბრიგადამ ჩამორჩენილის სახელი, იგი მოწინავეთა შორის მოწინავეა;

19 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გასხნის წინადღეებში უჩვეულო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა კომბინატში. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ შევიკრიბეთ ბრიგადის წევრები, მივიღეთ მტკიცე გადწყვეტილება: ამ დღიდან ვიშრომოთ მკურეკეცებული ენერგიით, რათა უახლოეს ხანში ბრიგადას მოვეპოვოთ კომუნისტური შრომის ბრიგადის სატიტო სახელი. ასეც გავაკეთეთ. 24 დეკემბრისათვის უკვე შესრულებული გვქონდა თვიური გეგმა. წლიური გეგმის გადამეტებით გამოვუშვით 3.800 კილოგრამზე მეტი ნართი. საწარმოო გეგმების შესრულებაში მოწინავენი არიან მრთველები ც. დანელია, ფ. თედეეკა, ა. ჰანოვა, ჩ. მომსსმელები ა. ჩოჩიშვილი, ე. მჭედლიძე, ა. შაიკინა, გ. იაკოვინა.

ჩვენი ბრიგადის ცხოვრებაში ეს ღირსსასხოვარი დღეები გაუტოლდა წლებს.

ახლა კომბინატში აღარა გვყავს ჩამორჩენილები. ყველა ის ბრიგადა და კოლექტივი, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ, დავალებებს ვერ ასრულებდნენ, ერთ ან ორ ხანაა გეგმის გადამეტებით იძლევიან პროდუქციას. 20 დეკემბრისათვის კომბინატმა შესრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

ახალი სამეურნეო წლის პირველ დღეებიდანვე ვფიდადებით ვმუშაობთ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ამ დღეებში ჩვენი ბრიგადა დავალებულ 125-130 პროცენტით ასრულებს.

ელენე გეგელაშვილი,

გორის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადის ხელმძღვანელი.

„გულითადი შეხვედრები“

წიგნი ნ. ს. ხრუშჩოვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოგზაურობის შესახებ

„გულითადი შეხვედრები“. — სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ასეთი სახელწოდებით გამოუშვა „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტის ვ. პოლიაკოვის ნარკვევებისა და წერილების კრებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოგზაურობის შესახებ.

ამ უკანასკნელ ხანს ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონი მოიარა. იგი შეხვდა შორეული აღმოსავლეთისა და უკრაინის მშრომელებს, უზბეკეთის, ყაზაკეთისა და ყირგიზეთის კოლმეურნეებს, ყაზახეთის, ციმბირის, ორენბურგის ოლქის ყამირელებს, მოლდავეთის, ყუბანის, სტავროპოლის მხარის, დონის, ვორონეჟის, კურსკის, რიაზანის, ტულის, ლენინგრადის, სარატოვის, კუიბიშევის, სტალინგრადისა და ბევრი სხვა ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოფნის დროს ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს. საუბრებში გამოითქვა ძვირფასი რჩევა და წინადადებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, ჩვენი სოფლის ცხოვრების ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ნ. ს. ხრუშჩოვის ამ გულითადი შეხვედრების, მშრომელებთან მისი გულთბილი საუბრების შესახებ არის ნაამბობი ამ წიგნში.

წიგნი უხვად არის დასურათებული.

საინტერესოდ მოაწყო საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ქალაქ ქუთაისის № 10 უოდმივოქმედმა აგიტპუნქტმა.

აგიტპუნქტი სისტემატურად აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, მოსახლეობას აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებს, ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს. სურათზე: აგიტპუნქტის გამგე ზ. კისკეიძე აგიტატორებთან.

ფოტო ბ. დადვაძისა.

უფრო ახლოს ცხოვრებასთან, აგიტაციისა

დიდად საპატიოა იყო აგიტატორი, მგზნებარე, მართალი სიტყვით აღფრთოვანებდე მასებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა განსახორციელებლად. ახალციხის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სტალინის ოლქის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ ეაბად რაიონში საგიტაციო მუშაობას ეწევა 854 აგიტატორი. ესენი ძირითადად არიან უნარიანი და საქმის მცოდნე ადამიანები — კომუნისტები, კომკავშირელები, მოწინავე უპარტიო ამხანაგები. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ აგიტატორთა შემადგენლობის ხარისხობრივმა გაუმჯობესებამ კოლმეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში გაზარდა მშრომელთა აქტივობა და აგიტაციისადმი ინტერესი.

მისაბაძია სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის აგიტკოლექტივის მაგალითი. სოფელში საგიტაციო-მასობრივ მუშაობას 25 აგიტატორი ეწევა. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურ ინტერესს იჩენს აგიტკოლექტივის მუშაობისადმი. კვირაში ერთხელ ტარდება აგიტსემინარი, სადაც ლექცია-მოხსენებებთან ერთად ეწყობა აგიტატორთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. სემინარებზე სისტემატურად განიხილავენ კოლმეურნეობის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გაჩეჩილაძე ხშირად გამოდის მოხსენებებით აგიტატორთა წინაშე. სერიოზული ყურადღება ექცევა დადებითი გამოცდილების განზოგადებას. ამ საქმეში აგიტატორ თ. სვანიძეს ვერავინ შეედრება. მან დაწვრილებით შეისწავლა წარმატება თანასოფლელი მწველვარის ტ. მუმლაძისა, რომელმაც წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე ათას ლიტრზე მეტი რძე მიიღო. საუბარზე თვით მოწინავე მწველვარეც მოიწვია. ტ. მუმლაძემ ამხანაგებს უამბო თავისი წარმატების „საიდუმლოება“. მალე მოწინავე მწველავს კოლმეურნეობაში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

კარგად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა აგრეთვე მუსხის, საძელის, გურკელისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. მაგრამ ასე როდი ითქმის ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაზე. ზოგან აგიტატორთა მუშაობაში ადგილი აქვს ფორმალიზმს, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებას. მთელ რიგ შემთხვევებში არაწყრად არჩევენ აგიტატორებს. ეს ყველაზე მეტად შეეხება სოფელ აბათუბეის საკოლმეურნეო პ ა რ ტ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ას (მდივანი ა. მარტიროსიანი). მართალია, პარტიბიურო ზოგჯერ განიხილავს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს, იღებს დადგენილებებს, მაგრამ შემდეგ ალარ განამტკიცებს მათ ორგანიზატორული მუშაობით. ამიტომ საქმეც წინ ვერ მიდის.

მსგავსი ნაკლოვანებანია სოფლების ანდის, წირისა და წოხტევის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებშიც.

პარტიის რაიონული კომიტეტი. მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ცდილობენ დროულად აღმოფხვრან შემჩნეული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აგიტკოლექტივების ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ თ ა სწავლებას. ამ მიზნით ყოველი თვის დასაწყისში ეწყობა სემინარები, რომელთა დონე თანდათან მაღლდება.

სისტემატურად ვაწყობთ აგიტატორთა რაიონულ და ზონალურ თათბირებს. აქ უკვე წესად იქცა აგიტსემინარების მოწყობა კვირაში ერთხელ, ღია სემინარების მუშაობის განზოგადება, ურთიერთდასწრება და სხვ.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა იდეური ზრდისა და მეთოდური დახმარებისათვის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ამას წინათ პარტიის ახალციხის რაიკომში ჩატარებული სარაიონთაშორისო ზონალური სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებით მოეწყო. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკისა და ბორჩალოს რაიონების პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილმა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის: „შვიდწლიანი გეგმა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამაა“, „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, „ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი წელილია მშვიდობის საქმეში“, „საქართველოს სსრ მრეწველობა შვიდწლედში“ და სხვ.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აგიტატორთა სემინარების მომზადება-ჩატარების, ძირეულ პრესაში აგიტატორთა მონაწილეობის, მოსახლეობაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწყობისა და სხვა საქმეში შეძენილი გამოცდილება.

საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

... ! ...

... ...

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში საგიტაციო მუშაობას ეწევა ამავე სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგი ს. ბოსტოღანაშვილი. აგიტატორი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი საგიტაციო უბნის მშრომელებთან, საფუძვლიანად იცნობს მათს მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების შესაბამისად არჩევს სასაუბრო თემებს, ზრუნავს იმისათვის, რომ მის საგიტაციო უბანში გაერთიანებული კოლმეურნეები შემოქმედებითს შრომას ეწეოდნენ შვიდწლედის ამოცანათა შესასრულებლად. საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შესახვედრად. მართლაც, აგიტატორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის საგიტაციო უბანში არ არის არცერთი კოლმეურნე, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობდეს საკოლმეურნეო შრომაში.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადების მიზნით ამას წინათ საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს სემინარის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია მუდმივმოქმედი აგიტპუნქტის გამგის შ. არველაძის გამოსვლამ. მან დამსწრეთ მოუთხრა მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებაზე. სხვა აგიტპუნქტებისაგან განსხვავებით ეს აგიტპუნქტი არჩევნების შემდეგაც განაგრძობს მუშაობას. აქ სისტემატურად მორიგეობენ აგიტატორები, ეწყობა ლექციები და მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, კინოსურათების ჩვენება და სხვ.

ზონალური სემინარის მონაწილენი დაესწრნენ ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის აგიტატორთა სემინარს, აგრეთვე ამნაგაური სასამართლოს სხდომას. დაათვალიერეს შახტი, ესაუბრნენ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, გაგანოველს ბ. ტეფნაძეს და სხვებს.

სემინარის მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსია, მათ დაათვალიერეს მეშახტეთა დაბა ვალე, სოფელ ქვემო სხვილისის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებული ფერმა და მისი წითელი კუთხე, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვ.

ზონალურმა სემინარმა ახალციხეში ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ აგიტკოლექტივები წარმატებას აღწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ყოველდღიურ საქმიან დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

სემინარის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი სისტემატურად მოეწყოს აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარები.

ა. მექვაბიშვილი,

საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

მართალი სიტყვა

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში საგიტაციო მუშაობას ეწევა ამავე სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგი ს. ბოსტოღანაშვილი. აგიტატორი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი საგიტაციო უბნის მშრომელებთან, საფუძვლიანად იცნობს მათს მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების შესაბამისად არჩევს სასაუბრო თემებს, ზრუნავს იმისათვის, რომ მის საგიტაციო უბანში გაერთიანებული კოლმეურნეები შემოქმედებითს შრომას ეწეოდნენ შვიდწლედის ამოცანათა შესასრულებლად. საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შესახვედრად. მართლაც, აგიტატორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის საგიტაციო უბანში არ არის არცერთი კოლმეურნე, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობდეს საკოლმეურნეო შრომაში.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადების მიზნით ამას წინათ საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს სემინარის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია მუდმივმოქმედი აგიტპუნქტის გამგის შ. არველაძის გამოსვლამ. მან დამსწრეთ მოუთხრა მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებაზე. სხვა აგიტპუნქტებისაგან განსხვავებით ეს აგიტპუნქტი არჩევნების შემდეგაც განაგრძობს მუშაობას. აქ სისტემატურად მორიგეობენ აგიტატორები, ეწყობა ლექციები და მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, კინოსურათების ჩვენება და სხვ.

ზონალური სემინარის მონაწილენი დაესწრნენ ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის აგიტატორთა სემინარს, აგრეთვე ამნაგაური სასამართლოს სხდომას. დაათვალიერეს შახტი, ესაუბრნენ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, გაგანოველს ბ. ტეფნაძეს და სხვებს.

სემინარის მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსია, მათ დაათვალიერეს მეშახტეთა დაბა ვალე, სოფელ ქვემო სხვილისის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებული ფერმა და მისი წითელი კუთხე, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვ.

ზონალურმა სემინარმა ახალციხეში ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ აგიტკოლექტივები წარმატებას აღწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ყოველდღიურ საქმიან დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

სემინარის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი სისტემატურად მოეწყოს აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარები.

ა. მექვაბიშვილი,

საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

იერიში გრძელდება

ქალიშვილები და ჭაბუკები კომკავშირის კრებაზე მიეშურებოდნენ.

— გაიგეთ? ჩვენი კომბინატის მდივანი მოსკოვიდან დაბრუნდა.

— ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ყოფილა, პრონკინი უნახავს.

— ნეტავ რა უთხრა პრონკინმა? — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— აბა გული როგორ მიზამდა, ლიხაჩოვის სახელობის ქარხანაში არ შევსულიყავი და ე. პრონკინი არ მენახა, — თქვა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. თხელიძემ.

ე. პრონკინს ზ. ჩხეიძის წერილი სწორედ იმ დღეს მიეღო და მეტად გახარებული იყო ამით. მითხრა, ქარგია. რომ მომდევრები საქართველოშიც გამომჩნდაო. ზურაბი მწერს წერილი გავუგზავნო. სიამოვნებით ძივწერ. დარწმუნდებით თუ არა, გადაეცით მას, მთელ თქვენს ახალგაზრდებს ჩემი მოკითხვა და კეთილი სურვილები. შევეცდები, საშუალებას გამოვნახავ თუ არა, გეწვიოთ.

კომკავშირის კომიტეტის მდივანი შემდეგ დაწერილებით შეეხო ე. პრონკინის მუშაობის გამოცდილებას, რასაც ის მოსკოვში გაეცნო...

ვარტენის საამქრო. ფოლადს ადნობს ს. საყვარელიძე. ჩქაროსნული დნობა წარმოეს.

— თუ გინდა ჩქაროსნული დნობა წარმატებით ჩაატარო, — ეუბნება ს. საყვარელიძე თავის ხელისშემწყობებს ე. ვერულაშვილს და გ. ფანჩვიძეს, — საჭიროა თვალისჩინივით მოუარო სამუშაო დროს, სრული დატვირთვით გამოიყენო იგი, შეამცირო ნორმით დაწესებული ამა თუ იმ საწარმოო ოპერაციის შესრულებაზე ვადები და ზუსტად დაიცვა ტექნოლოგიური რეჟიმი...

ასე ბეჯითად, მონდომებით განუმარტავს ს. საყვარელიძე თავის ხელქვეთებს წარმატების „საიდუმლოებას“.

— აბა სხვანაირად როგორ იქნება ჩვენ ხომ ვიკისრეთ ყოველი ხელშეწყობი ძეფოლადედ გავსადოთ, — ამბობს პრონკინელი ს. საყვარელიძე.

ექვე, მეორე ღუმელზე ა. ფანტულაია მუშაობს. სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდის, მაგრამ თავის ხელშემწყობებთან ხალისით განაგრძობს საუბარს.

— ღუმელი სხვადასხვა მასალისაგან იტვირთება, მათ შორის არის რკინაჯართი, რკინის მადანი, კირქვა ან კირი და სხვ ყველა ეს მასალა ანუ „კაზმი“ მოწოდებულ უნდა იქნას სათანადო რაოდენობით და თანმიმდევრობით...

ეი ასე ეხმაურებიან რუსთავის მეტალურგები ე. პრონკინის თაოსნობას, რა ბანაში ამოიხატება. რომ დაეხმარო მეშებს ტექნიკური და თეორიული ცოდნა შეძენაში. კულტურის ამა

ნათელ გზაზე

1956 წელი იყო. იანეთის სამუალო სკოლის მეცხრე კლასში სწავლობდა ნათელა კოხრეიძე. მასწავლებელმა გამოუცხადა მოსწავლეებს, ქუთაისის ავტოქარხანაში მივდივართ ექსკურსიაზეო. გოგონას გაეღიმა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შინ რომ დაბრუნდა, სამზადისს შეუდგა, უბის წიგნაკიც კი მოიმარაგა შთაბეჭდილებების ჩასაწერად.

... და, აი ავტოქარხანაც. ნათელა ფრთხილად მიაბიჯებს უზარმაზარი დანგრგარების გვერდით და თვალს არ აშორებს ბრეზენტის ტანსაცმლიან ახალგაზრდებს — ქუთაისელ მეავტომობილეებს. უკვე რამდენმე საამქრო დათვალიერა, ყურადღებით მოისმინა საუბარი სხვადასხვა დაზგის დანიშნულებაზე, პრაქტიკულად ნახა მათი მუშაობა. ნახა ნახაზებიც, მაგრამ მისთვის რატომღაც ბევრი რამ გაუგებარი დარჩა.

— სად აკეთებენ მანქანებს? — ფიქრობდა იგი.

მალე მოსწავლეები ერთ-ერთ საამქროში მიიწვიეს. აქ თითქოს ზოგიერთი რამ ნაცნობი აღმოჩნდა ნათელასათვის. მან კონვეიერზე ავტომანქანის ძრავს მოკრა თვალი. მუშები იდგნენ და მიახლოებულ დეტალს რომელიღაც ნაწილებს არგებდნენ.

ნათელას ნატვრა აუსრულდა. მან მისი საოცნებო საამქროც ინახულა. აქ მანქანების საბოლოო აწყობა ხდება. ნათელა უცქერის, თუ როგორ ამაგრებენ ერთმანეთზე სხვადასხვა დეტალს. ბოლოს მის თვალწინ სრულიად ახალი ავტომანქანა იშვა.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ნათელას გულში რაღაც თბილმა გრძნობამ გაუელვა. ხომ შეიძლება ისიც მეავტომობილე გაზდეს? და უნებლიეთ დააცქერდა თავის პატარა, უსუსურ თითებს.

— მეავტომობილე? — ეს როგორ წამოსცდა. ამისათვის მარტო სურვილი ხომ არ კმარა. მას ხომ მკლავის ძალა, დიდი ენერგია სჭირდება. მაგრამ ნათელა ერთი წუთითაც არ დფიქრდება ამაზე, თუ კი ნებას მისცემენ, რომ აი იმ ქერათმიან გოგონას გვერდში ამოუდგეს და მასთან ერთად იმუშაოს. მან ხომ ასე უთხრა: დარჩი ჩვენთან, ავტომობილის გაკეთებას გასწავლიო. თვითონაც ხომ ისეთივე ნაზი ხელები ჰქონდა, მაგრამ აბა ერთი გენახათ რა მარდად მუშაობდა, თურმე მოწინავე ამწყობის სახელიც კი მოუხვეჭია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნათელა კოხრეიძე კვლავ ეწვია ქუთაისელ მეავტომობილეებს. დირექციამ იგი ქარხანასთან არსებულ ტექნიკურ სასწავლებელში მიავლინა. სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნათელამ ზეინკალ-ბოძბაზველის პროფესია მიიღო და საიარაღო-სატვიფრო საამქროში დაიწყო მუშაობა. საამქროს უფროსმა სერგო ბარდაველიძემ ნათელას დაწვრილებით გააცნო საამქროს მუშაობის თავისებურება.

ნათელამ მთელი მონდომებით მოჭიდა ხელი საქმეს. მის მოვალეობას შეადგენს ლითონის სხმულზე გადაიტანოს ნახაზი, შეამოწმოს ზღვართა მიერ შესრულებული სამუშაო.

ოცნება აუსრულდა ნათელას. იგი მთელმა ქარხანამ გააცნო როგორც მოწინავე, თავისი საქმის საუკეთესო ოსტატი. ხშირად ლაპარაკობდნენ მის საწარმოო მაჩვენებლებზე, და იმ საამქროს მიღწევებზე, რომლებშიც მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

შარშან მარტში ქარხნის მუშათა წინასაარჩევნო კრებაზე ნათელა კოხრეიძე ერთხმად იქნა წამოყენებული ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

...ზაფხულის წვიმიანი საღამო იყო. გვიან დამთავრდა ქარხნის პარტიული კომიტეტის სხდომა. ნათელა დღეს პარტიის რიგებში მიიღეს წევრობის კანდიდატად. აი ახლა იგი სიხარულით აღსავსე მიდის ფართო ქუჩაზე. მეავტომობილეთა სახლს რომ მიუახლოვდა, ეზოში მოფუსფუსე ხალხი შენიშნა.

— ოჰო, ჩვენი დეპუტატიც აქეთ მოდის! — თქვა თმაშეევრცხლილმა მამაკაცმა და ნათელას შესახვედრად გაემართა.

ნათელას სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. რა ქნას, როგორ მოიქცეს. თურმე ისინი აქ დეპუტატს ელოდნენ. ის კი მათთან შესახვედრად არ იყო მზად.

— პატივცემულო დეპუტატო, მობრძანდით ჩვენს ბინაში, — სთხოვა ნათელას იმავე მამაკაცმა, და სახლის შესასვლელისაკენ გაუძღვა.

— ეს სახლი, — დაიწყო მოხუცმა, სამი წელია აშენდა, ბინები განაწილდა. სახლი კარგია. სამდურავი არ გვეთქმის, მაგრამ ხედავთ? ამ ხნის განმავლობაში სინათლის გაყვანა ვერ მოახერხეს, არ არის რადიოც. წყალს კი მეორე ქუჩიდან ვეზიდებით.

ნათელა მიხვდა, რაც ევალებოდა. ამომრჩევლებს შეჰპირდა, რომ ხვალვე გაარკვევდა მდგომარეობას და მშენებლობის დამთავრებას დაიჩქარებდა.

მეორე დღეს ნათელა ქარხნის ადმინისტრაციაში მივიდა, მშენებლობის უფროსი მონახა და აუხსნა სახლის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მშენებლობის საქმიანობაში ბევრი ნაკლია, ხშირია მობინადრეთა საჩივრები. ნათელამ ყველაფერი დაწვრილებით შეისწავლა და საქმე ზედგომი ორგანოების წინაშე დააყენა. ამან კარგი შედეგი გამოიღო. ახლა გულისხმიერ დეპუტატს ამომრჩევლები უდიდეს მადლობას უხდიან.

სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებამ ნათელა უფრო დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა. იგი სისტემატურად ეცნობა საამქროს საწარმოო გეგმებს, მათი შესრულების მისდინარეობას, ჩვენთან საუბარში მან განაცხადა, რომ საიარაღო-სატვიფრო საამქრომ დავალება 110,2 პროცენტით შეასრულა, საამქროს თვითეულ მუშაზე 1.500 მანეთი ეკონომია მოდის.

— ჩვენ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მივაღწევდით, — ამბობს იგი— რომ წლის დასაწყისში ადგილი არ ჰქონოდა გადახარჯვებს.

ნათელა კოხრეიძეს ყველგან შეხვდებით, სადაც კი ლაპარაკია ქარხნის საჭირბოროტო საკითხებზე. პირველი დავალება, რომელიც მას პარტიულმა კომიტეტმა მისცა, იყო ზამთრისათვის საამქროს ეზოების საკითხი. ნათელამ არა მარტო შეისწავლა ეს საკითხი, არამედ პირადადაც დაეხმარა საამქროს დროულად შეეკეთებინა ბინა, მაღალხარისხოვნად მომზადებულიყო ზამთრისათვის.

მოწინავე მეავტომობილეს ნათელა კოხრეიძეს გულით უყვარს თავისი საქმე.

გ. ჯინჭარაძე.

ქ. ქუთაისი.

ააირაზე ტკივათ გული

◆ **დუშეთის** (ოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა ავეჯზე. სამწუხაროდ, მაღაზიებში მომხმარებლები ამას იშვიათად ხვდებიან. საინტერესოა, როდის მომარაგდება დუშეთის სავაჭრო ქსელი მოსახლეობისათვის აუჯრით ავეჯით?

დიასახლისი თ. ფერაძე.

◆ **ლენტეხის** რაიონული ცენტრიდან ორი კილომეტრით დაშორებულია მდინარე დეგვაშის ღელე. აქ 1943 წელს კაპიტალური ხიდი ააგეს, მაგრამ შემდეგ მიატოვეს. გავიდა წლები, და ხიდი ჩაინგრა. ამჟამად ლენტეხიდან ქუთაისამდე მომსვლა შეფერხებულია, როდის განახლდება?!.

გ. ლიპარტელიანი.

◆ **სოფელ ხობს** პატარა მდინარე კაპატონა ჩამოუდის. ამ მდინარეზე რამდენიმე ხნის წინათ ხიდი ჩაინგრა, მოძრაობა შეფერხდა. ხიდის აღდგენა დღემდე ჭიანურდება.

ნ. გაგედავა.

◆ **თერჯოლის** რაიონის სოფელ საზანაში საკოლმეურნეო ბაზარი მოუწყობელია, წვიმების დროს იქ გუბეები დგება, სიარული ძნელდება. კოლმეურნეებს ან ვაჭრობის მუშაკებს პროდუქტების დასაწყობად თვითონ მოაქვთ მაგიდები. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ჩხარის საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც ფარდულები ჩანგრეულია სიძველის გამო.

გრ. კაჰკაჰოვი.

◆ **ფინანდალში** (თელავის რაიონი) არის სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი სასწავლებელი. მოსწავლეებს არა გვაქვს მეცადინეობის ნორმალური პირობები, ელექტროენერგიას მხოლოდ ღამის სამი საათის შემდეგ იძლევიან, მაღაზიაში ნავთიც თავის დროზე არ მოაქვთ.

მოსწავლეები: ი. ბერიძე, შ. ბერიშვილი, კ. ხოგილია, ი. ჯურღულია.

◆ **სამტრედიიდან** ვანამდე მიმავალ შარაგზაზე სოფელ გომთან ბოგირი დიდი ხანია ჩაინგრა. ავტომანქანებს შორიდან უხდებათ მოვლა. ყოველივე ეს აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას, მგზავრთა მიმოსვლას.

კ. ტყეშელაშვილი.

◆ **ჯვარი-მესტიის** გზაზე რამდენიმე წელია მოძრაობს ორი სამგზავრო ავტობუსი, მაგრამ! იგი მგზავრთა გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. მოძრაობა მოუწესრიგებელია ხაიშ-მესტიასა და მესტია-კალს გზებზე.

ა. დავითიანი.

◆ **ჰიათურაში** ნაკლებად ზრუნავენ მშრომელთა სათბობით მომარაგებისათვის. ზამთარი ძალაშია. აქ კი შუა არ ეშოვნება. საკითხავია, ასე როგორ გავატაროთ მოსალოდნელი ცივი დღეები?..

რ. ფერეთელი.

ნიჭიერი და ხელოვანი ადამიანების ბიბლიოთეკა

ახალგაზრდოგავ, შენთვის!..

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრმა განახორციელა დ. ჰერტელის ბალეტი „ამაო სიფრთხილე“.

1946 წელს ეს ბალეტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე პირველად დადგა დიდი თეატრის სოლისტმა რსფსრ-ს სახალხო არტისტმა ელენე დმიტრაშმა.

ამჟამად ბალეტი აღადგინა თეატრის რეპეტიტორმა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ვ. ივაშკინმა. დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ფალიაშვილი, მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სახალხო მხატვარს ს. ვირსალაძეს. მთავარ როლებს ასრულებენ ვ. ივაშკინი, ე. გელოვანი, ბ. მონავარდისაშვილი და სხვები. ბალეტი „ამაო სიფრთხილე“ კომპოზიტორმა მიუძღვნა ახალგაზრდობას და ამიტომაც მოსწავლეთა და სტუდენტთა საზამთრო არდადეგების დღეებში იგი რამდენჯერმე ეჩვენა წარმოდგენილი.

• • •

სურათზე: სცენა ბალეტიდან „ამაო სიფრთხილე“. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. გელოვანი (ლიზა) და ბ. მონავარდისაშვილი (კოლენი).

ფოტო ბ. დადვაძისა.

„ოტელო“ გათუმის თეატრში

გათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ტაბლიაშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას, მუსიკა — ფ. ღლონტს.

ოტელოს როლს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე, იაგოს — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ხინკაძე, დეზდემონას როლს — მსახიობი ნ. საკანდელიძე.

სპექტაკლი გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

ჩალხურ ხმაზე

შთაგონებას ესხივოსნება მამული, ხალხი, სიყვარული, პატიოსნება“ —

აცხადებს პოეტი.

ბუნებისა და მოვლენების ასახვის ფონზე პოეტი ახერხებს თავისებურად, სხვა პოეტებისაგან განსხვავებით გამოკვეთილად ასახოს ხალხთა მეგობრობის თემა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წიგნში შეტანილი ლექსები „ზღვაზე“, „საღამო ზღვაზე“, „მარად ისმოდეს“, „დილა წაღვერში“, „ბაკურიანში“.

სამადაშვილს კარგად ეხერხება ბუნების სურათების ხატვა. მის მიერ დახატული პეიზაჟები სახოვანი და გამორჩეულია.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შ. სამადაშვილის ზოგიერთ ლექსში იგრძნობა გაჭიანურება, სუსტი რითმები, ცალკეული სუსტი სტრიქონები. პოეტის შეცდომაა ისიც, რომ იგი ხშირად სცილდება ხალხური შემოქმედების წმინდა სათავეებს და ყალბი კლასიციზმის ტყვეობაში ვარდება.

შაქრო სამადაშვილი მოსავალში ალბათ უეჭველად გაითვალისწინებს ამ გარემოებას. მისი ლექსების მომხიბვლელობა სწორედ ხალხურობაშია და ამ გზას არ უნდა ასცდეს იგი.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ კარგად მოიქცა, რომ ესოდენ ყურადღება მიაქცია რაიონში მომუშავე ამ ჩუმ, უპრეტენზიო პედაგოგსა და პოეტს.

ა. ჟურთიაშვილი.

სიმღერა ოსეთისა...

სამხრეთ ოსეთი — საქართველოს განუყოფელი ნაწილი... ჩვენ ახლა ლაპვის ხეობას დავიქერთ... ამბობს დიქტორი და ეკრანი მოთხიბლავ სურათად იქცევა. მაყურებლის თვალწინ იშლება წარმტაცი პანორამა.

სამხრეთ ოსეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურულ ცხოვრებაზე გვიამბობს ქრონიკალურ დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის მიერ გამოშვებული ახალი ფერადი ფილმი „სამხრეთ ოსეთი“ (სცენარი ვლ. გელაშვილისა, რეჟისორი შ. ხომერიკი, ოპერატორი შ. შიოშვილი).

ფილმი იწყება საინტერესოდ შერჩეული კადრებით, სამხრეთ ოსეთის საერთო ხედვებით, რომლებსაც ცვლის არწივის ბუდის მსგავსი მაღალმთიანი სოფლები, უფრო დაბლა კი — მოშრიალე ბალ-ვენახები.

კინოსურათში ორიგინალურად არის ჩაქსოვილი სამხრეთ ოსეთის ქალაქებისა და სოფლების წარსულის სურათები.

აი თვით განუმეორებელი სილამაზის — მამისონის უღელტეხილიც ხომ დიდი ისტორიული ამბების მოწმეა. ამ გზით გადმოვიდა 1921 წლის ზამთარში ძლევამოსილი მე-11 არმია კიროვის წინამძღოლობით. სოფელი ღურშევი პირველი შეხვდა მე-11 არმიას. ამიტომ იზიდავს ეს პატარა სოფელი ტურისტებს ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალი კუთხიდან. მომდევნო კადრებში ვეცნობით რევოლუციური წარსულის დაუვიწყარ სურათებს, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული ოსეთის საუკეთესო შვილებს.

იცვლება კადრი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი — სტალინირი. მაყურებლის თვალს ახარებს კეთილმოწყობილი ქუჩები, ლენინის მოედანი. კინოსურათში დიდი ადგილი უჭირავს ქალაქ სტალინირის ჩვენებას.

ფილმში ოსტატურად არის გამოკვეთილი სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების მკაფიო სურათები. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალგაზრდა სოციალისტური დაბა— ქვაისა. აქ მთების გულიდან ამოიკვეთ ძვირფასი მადანი — ტყვია, თუთია... შვიდწლედის სახელით მიდიან მადაროელები მთებთან შესაჭიდებლად.

ფილმის ღირსებაა ის, რომ წინა პლანზე ეწამოწეულია ძირითადი თემა — საბჭოთა ადამიანების შრომა და დასვენება. ფილმში ვეცნობით მოწინავე ადამიანებს.

მაყურებლის თვალწინ იზრდება ნაკადული, იბადება მდინარე, ძლიერდება ტალღები. მხოლოდ ადამიანი ამორჩილებს ამ ტალღებს და ხალხის სამსახურში აყენებს. აი სარწყავი არხები, სიცოცხლის ძარღვებივით რომ შეჭრილან საკოლმეურნეო მინდვრებში. ეს კადრები დასრულებული სახით და სახოვნად არის წარმოდგენილი. კინოფირზე აღბეჭდილია სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანთა საამაყო საქმეები.

ფილმში ვხედავთ ცნობილ ოს მწერალს დავით ჯიოევს. იგი თანასოფელელებს „კითხულობს ნაწყვეტს თავისი რომანიდან „უძლეველი ძალა“. კინოსურათში ოსტატურად არის გადმოცემული ოსი ხალხის დიდი კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების ასი წლისთავის ზეიმი.

ფილმში ორგანულად შეტანილია ხალხური თვითმოქმედების საუკეთესო ნომუშები — ცეკვები. კარგად არის გააზრებული ფილმის ფინალი.

ფილმის ავტორებმა დამაჯერებლად ასახეს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი კუთხის ცხოვრების თითქმის ყველა მხარე.

ფილმს კარგად ერწყმის მელოდიური მუსიკა. სასიამოვნოდ ყურს ხალხური ოსური სიმღერები, რომლებიც კომპოზიტორ ს. ნასიძეს კარგად გამოუყენებია.

„სამხრეთ ოსეთი“ ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის კიდევ ერთი შენაძენია.

ე. ჯაფარიძე.



კადრები ფილმიდან.

გზა მწვერვალებისაკენ

ეს-ეს არის დასრულდა 1959 წელი— დიდი შვიდწლედის პირველი წელიწადი. ამ წელს საბჭოთა მეცნიერებამ ეშმაკრიტად უმაგალითო გამარჯვებები მოიპოვა, მეტადრე ადამიანთა ცოდნის ყველაზე ახალსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დარგებში. სხვა მიღწევებთან ერთად ჩვენს მეცნიერებასა და ტექნიკას მთელ მსოფლიოში სწორუპოვარი სახელი და დიდება მოუხვეჭია საბჭოთა კოსმონავტიკის ზღაპრულმა წარმატებებმა. გასულ წელს ჩვენში ახალი უზარმაზარი შედეგები მიღებული ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში, რის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაც არის გიგანტური ატომური ხომალდის „ლენინის“ გასვლა პირველ საზღვაო რეისში.

ბარაქიანი იყო 1959 წელი ქართული საბჭოთა მეცნიერებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა ნიჭიერმა და მძლავრმა კოლექტივმა, რომელიც აღფრთოვანებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებები, წასული წელს თავისი ღირსეული თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მსოფლიოში უველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებაში. ეს წვლილი საკმაოდ მკაფიოდ ჩანს წინასწარი შედეგებიდანაც, რომელთა საბოლოო შეჯამება ამჟამად ხდება.

1959 წელი ქართული საბჭოთა მეცნიერებისათვის იმ მხრივაც იყო შესანიშნავი, რომ ამ წელს ახალი დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების მიმართულებით. შესაბამისად განმტკიცდა და გაფართოვდა აგრეთვე მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამშრომლობა და თანამეგობრობა. ამასთან უნდა აღინიშნოს ქართველ საბჭოთა მეცნიერთა მონაწილეობის გაცხოველება და გაძლიერება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, როგორიც არის მსოფლიო და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესები, კონფერენციები და სხვ.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის საკვლევაძიებო ატომური რეაქტორის ამუშავება. რეაქტორის ამუშავებით საქართველოს მეცნიერებს მძლავრი საშუალება მიეცათ როგორც თეორიული საკითხების გადაწყვეტად მეცნიერების მრავალ დარგში, ისე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად. აღსანიშნავია, რომ ჩვენი საკვლევაძიებო რეაქტორით ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების პრობლემათა შესასწავლად ფართოდ ისარგებლებენ მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებიც.

რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში გასულ წელს მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო აგრეთვე ის, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერსალური გამოთვლითი მანქანა „ურალი“, რომელიც პირველია საქართველოში. ამ მანქანამ დიდად გაზარდა შესაძლებლობანი გამოთვლითი ცენტრისა, რომელიც უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების კვლევასთან ერთად ახრულებს გამოთვლით სამუშაოებს ჩვენი რესპუბლიკის მრავალი, აგრეთვე მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების მთელი რიგი საწარმო-დაწესებულებების დაკვეთით და მზარდი წარმატებით ემსახურება ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებას. გამოთვლითი ცენტრი თავის მუშაობას მთელი სისრულით გაიაღებს მას შემდეგ, რაც იქ ამუშავდება ახალი, კიდევ უფრო დიდი და შესანიშნავი უნივერსალური გამოთვლითი მანქანა.

ფართოდ ცნობილია, თუ რა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ მეთოდებს, რომლებიც ქართულმა საბჭოთა მათემატიკურმა სკოლამ დაამუშავა დრეკადობის მათემატიკური თეორიის ძირითად ამოცანათა გადასაწყვეტად, აგრეთვე მათემატიკური ფიზიკის სხვა დარგებისათვის. გასულ წელს ქართველმა მათემატიკოსებმა ამ მიმართულებით ახალი თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. 1960 წელს დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ამ წარმატებათა შემდგომი გადიდებისა და კიდევ უფრო თვალსაჩინო შედეგების მოპოვებისათვის.

დიდად საგულისხმო შედეგები მოიპოვეს ქართველმა მეცნიერებმა გასულ წელს თანამედროვე ფიზიკის ისეთ მეტად მნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის კოსმოსური სხივების ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა და სხვ.

ქართველმა მეცნიერებმა მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებთან ერთად 1959 წლის განმავლობაში დიდი მუშაობა გასწიეს სეტყვიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტურ ღონისძიებათა შემუშავებისათვის. მიმდინარე წელს ეს მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდება.

არა ერთი და ორი თვალსაჩინო შედეგი მიიღეს გასულ წელს ქართველმა მეცნიერმა გეოლოგებმა, რომელთა მიღწევები საქვეყნოდ ცნობილია. ახალი, 1960 წლის განმავლობაში ისინი დაჩქარებული ტემპებით განაგრძობენ დედამიწის ქერქში უმთავრესი წიაღისეული ნედლეულის ძებნას. ეს ნედლეული ამ ეტაპზე ჩვენ ბევრ ადგილას ვიპოვეთ. ეს ნედლეული ამ ეტაპზე ჩვენ ბევრ ადგილას ვიპოვეთ. ეს ნედლეული ამ ეტაპზე ჩვენ ბევრ ადგილას ვიპოვეთ.

**

საკავშირო ფოტოგამოფენა

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა გადაწყვიტეს მომდინარე წლის თებერვალში მოაწყონ მოსკოვში მხატვრული ფოტოგრაფიის სრულიად საკავშირო გამოფენა—„ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში“.

გამოფენის მიზანია მხატვრული ფოტოგრაფიის საშუალებებით აჩვენოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება ჩვენს ქვეყანაში, სპორტული მეცადინეობის სასიკეთო გავლენა ადამიანის ფიზიკურ განვითარებასა და ჯანრთელობის განმტკიცებაზე, საბჭოთა სპორტსმენების ბრძოლა დიდი შედეგებისათვის, მათი მეგობრობა საზღვარგარეთის ქვეყნების სპორტსმენებთან.

გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიონალ ფოტოგრაფებსა და ფოტომოყვარულებს. ათი საუკეთესო შავ-თეთრი და ათი ფერადი ფოტოსურათი, რომელთაც ქიური მოწონებს, გაიგზავნება რომს საერთაშორისო ფოტოგამოფენაზე, რომელიც იქ მოეწყობა XVII ოლიმპიური ასპარეზობის დროს. ცხრა საუკეთესო ნამუშევრის ავტორები მიიღებენ სამახსოვრო მედლებს.

ნამუშევართა გამოფენაზე წარდგენის უკანასკნელი ვადაა 10 თებერვალი. გამოფენა გაიხსნება 25 თებერვალს მოსკოვში — ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში.

ფოტოსურათები უნდა გაეგზავნოს ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის“ რედაქციას (მოსკოვი, სომხური შესახვევი, 13). (საკდესი).

ზანგი მოსახლეობის დასაცავად!

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წერილი გაუგზავნა ჰამარშელდს

სამხრეთ აფრიკის კავშირის ხელისუფლები აწყობენ ზანგთა — სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სამანდატო ტერიტორიის მკვიდრთა იძულებითს მასობრივ გადასახლებას სპეციალურად გამოყოფილ რაიონებში (რეზერვატებში). 1959 წლის 10-12 დეკემბერს სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებმა ჯარები გამოიყენეს სამხრეთ დასავლეთ აფრიკის მთავარი ქალაქის ვინდხუკის ზანგი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელმაც პროტესტი განაცხადა ახლად გამოყოფილ „რეზერვატში“ იძულებითი გადასახლების წინააღმდეგ. მოკლულ და დაჭრილი რამდენიმე ათეული ზანგი.

1959 წლის 15 დეკემბერს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მკვიდრმა კერინამ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოდის როგორც პეტიციონერი ამ ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობის სახელით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართა პეტიციით, რომელშიც სთხოვს გამოიყენოს გავლენა და იმოქმედოს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხის ინტერესებისათვის, რათა შეწყდეს მკვლელობა და იძულებითი გადასახლება, რასაც სამხრეთ აფრიკის ჯარები აწყობენ. კერინა იუწყება, რომ მდგომარეობა კრიზისულია და, თუ დაუყოვნებლივ არ მოხდა ჩარევა, კიდევ მეტი სისხლი დაიღვრება.

30 დეკემბერს სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ აფრიკის ხელისუფალთა მოქმედება, რასაც მოჰყვა სერიოზული შეტაკებანი და მსხვერპლი, გადაჭრით უნდა დაიგმოს როგორც ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

ამბები, რომლებსაც მოჰყვა მსხვერპლი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მოსახლეობაში, მით უფრო დასანანია, რომ ეს ამბები მოხდა ტერიტორიაზე, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო მეურვეობას, ე. ი. ზრუნვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ.

„საბჭოთა მთავრობა, —ნათქვამია დასასრულ წერილში, — მხარს უჭერს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის კომიტეტის 1959 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებას ვინდხუკში მომხდარი ამბების შესახებ. მას იმედი აქვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. თავის მხრივ, შეისწავლის შესაძლო ღონისძიებებს, რათა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საერთაშორისო ტერიტორიაზე შეწყდეს აფრიკელთა მასობრივი გასახლება“

ამერიკას აოცებს

საბჭოთა მუსიკოსების ოსტატობა

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ კარნეგი-ჰოლის დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის პირველი კონცერტი.

საკონცერტო დარბაზში, რომლის სცენაც მორთული იყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბა 3 ათასზე მეტი კაცი. ისინი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მუსიკოსებს დირიჟორ კ. ივანოვის მეთაურობით. ზეიმურად გაისმა ამერიკისა და საბჭოთა ეროვნული ჰიმნები, რომლებიც ორკესტრმა შეასრულა.

პირველი კონცერტის პროგრამა შედგებოდა გენიალური რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის ნაწარმოებთაგან, რომელიც თითქმის 70 წლის წინათ დაესწრო ამ საკონცერტო დარბაზის გახსნის ცერემონიას. ამერიკის საზოგადოებრიობამ დიდად შეაფასა საბჭოთა მუსიკოსების ჩინებული შესრულებლობითი ოსტატობა. ტაშის გრიალი და „ვაშას“ შეძახილები აზანზარებდა დარბაზს, როგორც კი მიწყდა მეხუთე სიმფონიის უკანასკნელი აკორდი.

მსმენელნი ასევე აღფრთოვანებით შეხვდნენ პირველ კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის დ. იტალიური კაპრიჩიოს.

სოლისტია ემილ გილელსი. თავისი შესრულების მაღალი კულტურა მან უკვე ორჯერ უჩვენა ამერიკელთა აუდიტორიას, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა 1955-1958 წლებში. მან ამჯერადაც მოაჯადოვა მუსიკის დამფასებელნი, რომელთა თხოვნითაც კიდევ რამდენიმე საფორტეპიანო ნაწარმოები შეასრულა.

საზოგადოება დიდ ხანს არ უშვებდა სცენიდან საბჭოთა მსახიობებს, რომელნიც გამოდიოდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში. ორკესტრმა პროგრამის გარეშე შეასრულა ა. ლიადოვის სუიტა ორკესტრისათვის „მოჯადოებული ტბა“ და ციკვა ა. ხაჩატურიანის ბალეტ „სპარტაკიდან“. მადლობის ნიშნად საბჭოთა მუსიკოსებს ვეებერთელა კალათებით მიართვეს ცოცხალი ყვავილები.

სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ჩამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მოვლენაა ამერიკის შეერთებული შტატების მუსიკალურ ცხოვრებაში. საზოგადოება უდიდეს ინტერესს იჩენს მისი გასტროლებისადმი. ბილეთები პირველი კონცერტებისა, რომლებიც გაიმართება ნიუ-იორკში, გაიყიდა კარგა ხნით ადრე. სანამ ორკესტრი ამერიკაში ჩამოვიდოდა.

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. (საკდესი). ნიუ-იორკის გაზეთები დიდად აფასებენ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის პირველ კონცერტს. ჩაიკოვსკის მუსიკის ოსტატური, გულში ჩამწვდომი შესრულებით აღფრთოვანებულმა უზარმაზარმა აუდიტორიამ ისეთი მჭუხარე ტაშით დაჯილდოვა ორკესტრი, დირიჟორი და სოლისტი, როგორიც ოდესმე თუ შეხვედრია საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა რომელიმე ჯგუფს, წერს „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“. ჩაიკოვსკი, წერს გაზეთი, წარმოდგა სრულიად ახლებურად, მთელი თავისი სიღრმითა და სილამაზით. ჩვენ დიდხანს: მეხუთე სიმფონიის მცოდნეებად მიგვაჩნდა თავი, ხოლო ახლა ვიგრძენით მისი ისეთი ძალა, რომელიც ადრე არც კი წარმოგვედგინა.

ის. რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ჩაიკოვსკის მარტოოდენ კიდევ ერთი წაკითხვა, გადაიქცა რწმენის დემონსტრაციად, რასაც განამტკიცებდა ძველი ტრადიცია და აშკარა ოსტატობა, როგორც ტექნიკის, ისევე გამომსახველობის მხრივ.



ახალი ამბები, ეკონომია, ფოლკლორი ეროვნული ენციკლოპედია

სასტუმრო-მთვარე

ბაკურიანის რკინიგზის სადგურიდან დაახლოებით ერთ კილომეტრზე, ფერდობზე, საიდანაც საუკეთესოდ მოჩანს მთელი ბაკურიანი, აიგება ნ-სარ. თულიანი 225-ადგილიანი კეთილმოწყობილი სასტუმრო.

საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ ახალგაზრდა არქიტექტორმა ი. ქოჩაკიძემ შექმნა ამ სასტუმროს პროექტი. იგი უმთავრესად ტურისტულ-სპორტული ხასიათისაა. გარდა სადარბაზო შესასვლელისა, მას ექნება სპეციალური გამოსასვლელი მოთხილამურეთათვის. სასტუმროს საცხოვრებელი ნაწილი შეიცავს ერთ, ორ, სამ და ოთხადგილიან ოთახებს. ყველა ოთახს ექნება ლოჯები, საიდანაც გადაიშლება ბაკურიანის წარმტაცი პანორამა.

საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა

ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის ზ. ფალიაშვილის ქეგლის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სამხატვრო გალერიაში გაიხსნა ფალიაშვილის ქეგლის საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა.

ქეგლის დადგმა გათვალისწინებულია დიდი კომპოზიტორის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში. კონკურსზე ექსპონირებული მრავალი ნამუშევარი წარმოგვიდგენს გამოჩენილი კომპოზიტორის სახეს. საერთოდ კი ყველა ექსპონატი ძირითადად ეყრდნობა ფალიაშვილის მუსიკის ხალხურობას.

ხალხური შემოქმედების ნიმუშები

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი უკვე დიდი ხანია შეუდგა მზადებას ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური გამოფენისათვის, რომლის გახსნა გათვალისწინებულია პირველი თებერვლისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ხალხური ოსტატების მიერ შესრულებული ნამუშევრები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. სახლის სპეციალისტი მხატვრები მივლინებული იყვნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში ადგილობრივი ხალხური ოსტატების დასახმარებლად. მათ აგრეთვე შეარჩიეს გამოფენისათვის ექსპონატები. შერჩეულთა შორის აღსანიშნავია ა. ცაბაძის ფაიფურის ვაზა, რომელზეც მოხატულია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანის“ ილუსტრაციები, გ. ტალიაშვილის კერამიკის სხვადასხვა სასმისები, გ. კვირიკაშვილის ვერცხლის ჭედურობა, დ. ნავრუზაშვილის „სოფელი ნოსტე“ და სხვ.

გამოფენისათვის ბევრი ნამუშევარი გამოგზავნეს აჭარიდან, აფხაზეთიდან, ზესტაფონიდან, თელავიდან, მცხეთიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან.

ქეთილშობილური საქციელი

ქუთაისი. (საკ. კორ.). მგზავრობის შემდეგ მოქალაქე თ. ფოფხაძეს ტაქსში ასი ბუთები და 2.300 მანეთი ფული დარჩა. მან არც მანქანის ნომერი იცოდა, არც მძღოლის ვინაობა. სამგზეიროდ ტაქსის მძღოლმა ჟ. ქობალიამ ნახოვნი პასპორტით სწრაფად გაარკვია მგზავრის საცხოვრებელი ადგილი, დაკაოგული საბუთები და ფული პატრონს დაუბრუნა.

ქუთაისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ჟ. ქობალიამ მგზავრისა და დირექციის მადლობა დიმსახურა.

• • •

ამბროლაური. (საკ. კორ.). ურავგელი მეკიდრმა, მეოთხე კლასის მოსწავლემ ზალიკო ჩლაიძემ ამაა წინათ კეთილშობილური საქციელით მთელი სოფელი აალაპარაკა. მან გზაში 1.000 მანეთი იპოვნა. დიდხანს ეძება პატარამ ფული. ბოლოს იპოვნა კიდეც. ფული პატრონი. ბოლოს იპოვნა კიდეც. ფული რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ერთ-ერთი მუშა აღმოჩნდა. ზ. ჩლაიძემ უკლებლივ დაუბრუნა პატრონს ნაპოვნი თანხა.

ვ. დ. კიკნაძე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის გ. მუხაძის სახელობის სახლთა გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ვ. დ. კიკნაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ღვიძლის ვრცელი რეზექციის გავლენა სისხლწარმოქმნაზე“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. დ. კიკნაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ზ. ოსტროვსკის სახელობის პრემია

კიევი, 4 იანვარი. (საკდესი). უკრაინის ახალგაზრდობა წმინდად ინახავს თავისი საყვარელი ბოლშევიკი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნას. დღეს უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში საზეიმო ვითარებაში პირველად მოეწყო გადაცემა ნ. ს. ოსტროვსკის სახელობის ლიტერატურული პრემიისა, რომელიც დაწესეს უკრაინის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და უკრაინის მწერალთა კავშირმა საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისთვის ახალგაზრდობის შესახებ. პრემია პირველს მიენიჭა ცნობილ უკრაინელ მწერალს, საბჭოთა კავშირის გმირს იური ზბანაცკის რომანისათვის „საამური რეკა“.

ინდოეთი. ბომბეი. მოედანი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.
ფოტო ა. უშვერიძისა.

საგარეოპოლიტიკური

ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუ მსოფლიო გაეხარა

პრაღა, 4 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა აქვეყნებს არგენტინის გაზეთ „კლარინის“ დირექტორის კითხვებზე ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სრულ ტექსტს ან დაწვრილებით შინაარსს და ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის თანამმდევრული ბრძოლის მშვიდობიანი თანაარსებობის იდეების გამარჯვებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გაზეთი „რუდე პრავო“ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ინტერვიუს ტექსტს ბეჭდავს სათაურით: „დაე 1960 წელი იყოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვების წელი!“. გაზეთი ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხიდან გამოჰყოფს იმ ადგილებს, სადაც ხაზგასმულია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადებათა დიდი მნიშვნელობა მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გაზეთი „ობრანა ლუდუს“ მოჰყავს ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუს ძირითადი დებულებანი და აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა წინადადებებს მშვიდობის განმტკიცების შესახებ. ამავე აზრს უსვამს ხაზს ბერლინი პროფკავშირული გაზეთი „პრაცე“. გაზეთ „ზემედელსკო ნოვინის“ სათაურში გამოაქვს ის ადგილი ამხანაგ ხრუშჩოვის პასუხიდან, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა სამუდამოდ და მითითებულია, რომ არსებობს ამის ყველა საჭირო პირობა.

ლონდონი, 4 იანვარი. (საკდესი). ინგლისის პროვინციული პრესა გაცხოველებულ კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს არგენტინის გაზეთ „კლარინის“ დირექტორის რ. ნობლეს კითხვებზე. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადებას იმის შესახებ, რომ თუ საბჭოთა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხალხთა შორის რეფერენდუმის საგანი გახდა, მას მხარს დაუჭერს დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

„ბ-ნი ხრუშჩოვი, — აღნიშნავს გაზეთი „გარდიანი“, — მართალი იყო, როცა განაცხადა, რომ განიარაღება თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემაა“.

გაზეთი „ბირმინჰამ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „ხრუშჩოვის მტკიცება, რომ მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები მიესალმებიან დაუყოვნებლივ განიარაღებას, უთუოდ, ჭეშმარიტებას შეესაბამება“.

ესმით რა, რომ განიარაღების საქმეში საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული პოზიციის ახალი დადასტურება ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს ინგლისის უბრალო ადამიანებზე, გაზეთები „გარდიანი“ და „ბირმინჰამ პოსტი“ იმეორებენ გაცვეთილ მტკიცებას, რომ საბჭოთა კავშირი ვითომდა იჩენს „დაუყოლიებლობას“ ატომგულის იარაღის გამოცდის კონტროლისა და ინსპექციის საკითხში. მაგრამ იმავე „ბირმინჰამ პოსტს“ არ შეუძლია არ აღიაროს, რომ „ხრუშჩოვის სიტყვების მთავარი ძალაა ის, რომ რუსეთი თვითონ იჩენს მზადყოფნას შეიტანოს პრაქტიკული წვლილი, მაშინ როცა ამერიკა აჭიანურებს“. გაზეთი „სანანულს ღირსს“ უწოდებს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ამასწინანდელ განცხადებას, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიძლება განაახლონ ატომგულის იარაღის გამოცდა.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „სკოტსმენი“ აცხადებს: „ამერიკა ვერ უგულებელყოფს მსოფლიოს ყველა ხალხის სურვილს მიაღწიოს ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვას“.

ოტავა 5 იანვარი, (საკდესი). კანადის გაზეთებმა გუშინ უაღრესად თვალსაჩინო ადგილს გამოაქვეყნეს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი არგენტინის გაზეთ „კლარინის“ დირექტორის რ. ნობლეს კითხვებზე.

კანადის პრესა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი არ განაახლებს ატომგულის იარაღის გამოცდას, თუ ამას არ იზამენ დასავლეთის ქვეყნები, და მზად არის ყოველ დროს დადოს შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ.

კონსერვატიული გაზეთი „გლობ ენდ მეილი“ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას ბეჭდავს დიდი სათაურით მთელ პირველ გვერდზე: „საქმე ახლა დასავლეთზეა“, აცხადებს რუსეთი. მზად ვართ ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას ატომური გამოცდის შეწყვეტის შესახებ — ხრუშჩოვი“. სარედაქციო სტატიაში „გლობ ენდ მეილი“ წერს, რომ დასავლეთის ქვეყნები უეჭველია უნდა მიესალმონ, როგორც საბჭოთა კავშირის მშვიდობიან განზრახვათა დადასტურებას, ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას საახალწლო დარბაზობაზე კრემლში იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაითხოვოს თავისი არმია, თუ მიღებულ იქნა საბჭოთა წინადადებები საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, და, შესაძლოა, დათანხმდეს თავისი შეიარაღებული ძალების ცალმხრივად შემცირებას.

ინგლისის მშვიდობის მომხრეთა ლაშქრობა

ლონდონი, 4 იანვარი, (საკდესი). 3 იანვარს ჰულში დამთავრდა ატომური განიარაღების ინგლისელ მომხრეთა 9 დღის ლაშქრობა. მთელ ინგლისზე დასავლეთი სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპირომდე გაიარა ქალაშვილთა და ჭაბუკთა კოლონამ პლაკატებით, რომლებიც მოითხოვენ ბოლო მოეღოს გამალებულ ატომურ შეიარაღებას, აიკრძალოს ატომგულის იარაღის გამოცდა, გადარჩეს კაცობრიობა ომის საშინელ საფრთხეს.

ლაშქრობა მოაწყო „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობამ“ 1959-1960 წლების მიჯნაზე, როგორც ატომგულის იარაღზე უარის თქმისათვის ბრძოლის ესტაფეტა.

წვიმისა და სიცივის მიუხედავად არც ერთ მონაწილეს არ დაუტოვებია კოლონა. მთელი ლაშქრობის განმავლობაში კოლონას უერთდებოდნენ სულ ახალი ადამიანები, ხოლო დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი უაღრესად გულთბილ შეხვედრას უწყობდნენ ლაშქრობის მონაწილეებს.

3 იანვარს საღამოს ლაშქრობის მონაწილენი ჩირაღდნებით და მცხოვრებთა მისასალმებელ შეძახილებსა და ტაშის გრიალში შევიდნენ ჰულში.

ჰულში მოწყობილ მიტინგზე გამოვიდა „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის“ ახალგაზრდათა ჯგუფის თავმჯდომარე ჟ. გოლდმანი, რომელმაც თქვა: ჩვენ მოხარული ვართ, თუ ჩვენი ლაშქრობაო ერთხელ კიდევ მიაპყრეს ყურადღება იმას, რომ არ უნდა დავიშუროთ ძალღონე ატომური განიარაღებისათვის ბრძოლაში.

დუგლას დილონის გაცხადება

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება:

სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დუგლას დილონმა იწინასწარმეტყველა, რომ 1960 წელს ამერიკის ოქროს მარაგის კლება რამდენადმე შემცირდება. „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ 1960 წელს ოქროს და დოლარების კლება რამდენადმე შემცირდება 1959 წელთან შედარებით“, — განაცხადა დილონმა ინტერვიუში, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“.

1958 წელს შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს თითქმის 4,5 მილიარდი დოლარი, ხოლო 1959 წლის ციფრი აღმათ შეადგენს 4 მილიარდ დოლარს. დილონმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ მთავრობა არ აპირებს შეკვეცოს უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების პროგრამა, რათა შემაციროს ოქროს და დოლარების კლება. მან თქვა. რომ უცხო სახელმწიფოების მოთხოვნები რამდენადმე აღემატება ამერიკის ოქროს მარაგს, მაგრამ დასძინა, რომ ეს შეშფოთების მიზეზი ვერ გახდება.

ქართველ მოცეკვავეთა წარმატება

ბრიუსელი. 4 იანვარი. (საკდესი). გუშინ ლუქემბურგში გაიმართა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გამოსვლა, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

ყოველი მხრიდან

◎ პრემიერ-მინისტრმა ყასემმა მიიღო გ. ი. ზელენკო ◎ მდგომარეობა ვენესუელაში ◎ მდგომარეობა ლაოსში

ბაღდადი, 4 იანვარი. (საკდესი). გუშინ ერაყის პრემიერ-მინისტრმა ყასემმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. ზელენკო, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას მოლაპარაკებაში, რომელიც დამთავრდა იმით, რომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მიერ ერაყისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ ეროვნული ტექნიკური კადრების მომზადებაში. მეგობრულ საუბარში პრემიერ-მინისტრმა მადლობა გამოთქვა საბჭოთა კავშირის ხალხისა და მთავრობისადმი უანგარო დახმარებისათვის, რომელსაც ერაყის რესპუბლიკას უწევენ. საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ერაყში გ. ტ. ზაიცევი.

იმავე დღეს ბაღდადის მუნიციპალიტეტში გაიმართა დარბაზობა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ ერაყის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ყასემის მეთაურობით.

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც უცხოეთის დეპეშათა საგენტოები კარაკასიდან იუწყებიან, ვენესუელაში კვლავ გამწვავდა შინაპოლიტიკური მდგომარეობა. შეთქმულთა ჯგუფმა და დამხობილი დიქტატორის ხიმენესის მომხრეებმა 1 იანვარს ღამით რამდენიმე დივერსიული აქტი მოაწყეს. ვენესუელის დედაქალაქის მთელ რიგ რაიონებში ტერორისტებმა ჩაადგეს ბომბები, რომლებმაც მატერიალური ზარალი მიაყენა საზოგადოებრივ შენობებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა რამონ ველასკესმა რადიოთი სიტყვა წარმოთქვა და განაცხადა, რომ ტერორისტულ ელემენტებს „სურთ ვენესუელაში შექმნან შეშფოთების ვითარება და ეს მდგომარეობა გამოიყენონ იმის საბაბად, რომ ძველი წესწყობილება აღადგინონ იქ“. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ახალი ტერორისტული აქტები „იმის გაფფრებული ცდაა, რომ მოსპონ დემოკრატიული წყობილება ვენესუელაში“. დაპატიმრებულია ოცზე მეტი შეთქმული. მთავრობა მთლიანად უწევს კონტროლს ვენესუელაში შექმნილ მდგომარეობას და განახორციელა ღონისძიებანი დამნაშავეთა გამოსაძებნელად და დასაპატიმრებლად. საზოგადოებრივ შენობებთან, რადიკეებთან და რადიოსადგურებთან დაყენებულია პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

„დემოკრატიული მოქმედების“ პარტიის ეროვნულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს ტერორისტულ მოქმედებას და მოუწოდებს მთავრობას სასტიკი ღონისძიებანი განახორციელოს ტერორისტთა და მეშფოთარეთა წინააღმდეგ. მან მიმართა აგრეთვე კოალიციის სხვა პარტიებს წინადადებით ერთიანი ფრონტი შექმნან არსებული წყობილების დასაცავად.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი ტაილანდში ჩავიდა

პარიზი, 5 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან იუწყება, გუშინ იქ ორი დღის ვიზიტით ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი ბრაკერი. ბანგკოკში ყოფნის დროს ბრაკერი ინახულებს სეატოს შტაბს და გამართავს თათბირებს ტაილანდში არსებული ამერიკული მისიების მეთაურებთან.

ბანგკოკიდან ბრაკერი გაემგზავრება საიგონს (სამხრეთი ვიეტნამი), ხოლო იქიდან ოკინავაზე და სამხრეთ კორეაში.

საბჭოთა კავშირი

6 იანვარი

ოპერისა და ბალეტის — ალი (დღისით), ტოსკა (საღამოს), მე-3 აბონ. მე-7 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (დღისით), ერთხელ დახოცილები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი (დღისით), მეფე ერეკლე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — შორეული გამძახილი (დღისით და საღამოს), **სანკუტერის** — ერთი შეცდომის შედეგი (საღამოს). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონ. № 28, 3 ს.), ვარსკვლავბეჭუნა (აბონ. № 48, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ზარმაცი კიკო (11 ს.), ყურშა (2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის. ამირანი, ოქტომბერი, ისანი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი). **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ერთი ნახვით შეყვარება, **თბილისი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — მოკლეშარვლიანი ადამიანი, **კომკავშირელი** — კაცი მატარებლიდან, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კოლმეურნე** — გადარჩენილი თაობა, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — კანონი კანონია, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — მამაცი ნაბარი, **დიდუბე** — მორევი, **უაზბეგი** — გზა მაღალი საზოგადოებისაკენ, **თანამგზავრი** — დედა, მამა, ჩემი ცოლი და მე.



თბილისის ფოსტამტი მოქალაქეთა, საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1960 წლის 1 იანვრიდან წერილობითი კორესპონდენციის **ავიაფოსტითა** გაგზავნის ტარიფი საგრძნობლად შემცირებულია. მაგალითად, 21 გრამამდე წონის უბრალო წერილის გაგზავნა 1 მანეთის ნაცვლად ღირს 60 კაპიკი, ღია წერილისა 1 მანეთის ნაცვლად 40 კაპიკი, 50 გრამამდე წონის ბანდეროლისა 1 მანეთი. შეკვეთილი წესით გაგზავნის დროს თვითეულ გზავნილებზე 1 მანეთის ნაცვლად მოქალაქე დამატებით 60 კაპიკს გადაიხდის.

ისარგებლეთ ავიაფოსტითი!

ფოსტამტის დირექცია.

დისერტაციის დაცვა
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ჭავჭავაძის პროსპ. № 1) 1960 წლის 16 იანვარს დღის 1 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ტატიანა გიორგის ასული შაროევა** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

«Петербургские повести Н. В. Гоголя в литературно-критической борьбе 30 — начала 40 г.г. XIX века».

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და